ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო, დიდის მუქუი, არ გაიცვლიგი, სხვაზედა..."


# ოდიში

1991
შაბათი
4
მაისი
№ 53 (10446)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან


საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

### საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების საკრებულოების წევრთა რაოდენობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების დანართიდან

| | | |
|---|---|---|
| 0 | ზუგდიდის რაიონის საკრებულოდან | 48 |
| 1 | აბასთუმნის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 2 | ანაკლიის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 3 | ახალი აბასთუმნის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 4 | ახალკახათის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 5 | ახალსოფლის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 6 | განარჯიის მუხურის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 7 | გრიგოლიშის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 8 | დარჩელის სოფლის საკრებულოდან | [illegible] |
| 9 | დიდინეძის სოფლის საკრებულოდან | [illegible] |
| 10 | ერგეტის სოფლის საკრებულოდან | [illegible] |
| 11 | ინგირის სოფლის საკრებულოდან | [illegible] |
| 12 | კახათის სოფლის საკრებულოდან | 3 |
| 13 | კოკის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 14 | კორცხელის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 15 | ნარაზენის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 16 | ოდიშის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 17 | ორსანტიის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 18 | ორულუს სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 19 | ყულიშკარის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 20 | ოქტომბრის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 21 | რიყის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 22 | რუხის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 23 | შამგონის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 24 | ჩხორიის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 25 | ცაიშის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 26 | ჭაქვინჯის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 27 | ჭითაწყარის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 28 | ჭკადუაშის სოფლის საკრებულოდან | 1 |
| 29 | ჯიხაშკარის სოფლის საკრებულოდან | 2 |
| 30 | ურთას სოფლის საკრებულოდან | 1 |

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების შესახებ

სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით რესპუბლიკებს თავსმოხვეული სახალხო მოხმარების საქონელზე საცალო ფასებისა და ტარიფების გადიდება გულისხმობდა აგრეთვე 1991 წლის 1 მაისიდან სახელმწიფო საქალაქო ტრანსპორტით (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი და სხვ.) მგზავრობის ღირებულების გადიდებასაც.

რესპუბლიკის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად:

გაუქმდეს სახელმწიფო საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტზე (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი და სხვ.) „სატრანსპორტო მომსახურების ტარიფების რეფორმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 1 აპრილის № 246 დადგენილებით დაწესებული გადიდებული ზღვრული ტარიფები;

კატეგორიულად აეკრძალოთ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, სახელმწიფო და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებს, ორგანიზაციებს პროდუქციასა და მომსახურებაზე საცალო ფასებისა და ტარიფების შეცვლა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შესაბამის სამსახურთან შეუთანხმებლად.

ბრძანებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 1 მაისი.

## თანადგომა — სტიქიით დაზარალებულთ!

საქართველოს მთიან რაიონებში მიწისძვრის შედეგად დატრიალებულმა უბედურებამ დიდად შეაშფოთა საწარმოო კოოპერატივი ზუგდიდის სარემონტო-მექანიკური კომბინატის კოლექტივი. საწარმოს დირექტორმა ანზორ ქუჩულორიამ რედაქციას აცნობა, რომ აქ სახელდახელოდ შეიქმნა სამკაციანი შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საწარმოს დირექტორის მოადგილე ე. ზარქუა. შტაბი კოორდინაციას გაუწევს დაზარალებულთა დახმარების ფონდის შექმნას და შეგროვილი საშენი თუ სხვა მასალების დანიშნულების ადგილებზე გადაგზავნას.

კოოპერატივი ამ დღეებში დაზარალებულ რაიონებს გადაუგზავნის 1000 ცალ სამშენებლო ბლოკს, ერთ ტონა თუნუქს, ორ ტონა ცემენტს, ორ კუბურმეტრ დახერხილ მასალას, 100 კვადრატულ მეტრ მავთულბადეს, 300 კილოგრამ ელექტროდს, 100 მეტრ რეზინის მილს და სხვა.

დაზარალებულ რაიონებში პრაქტიკული დახმარების გასაწევად წასვლის სურვილი გამოთქვა ექვსმა კაცმა. გუშინ კომბინატის მუშა მოსამსახურეებმა დაიწყეს თავიანთი ხელფასის დანაზოგიდან დახმარების ფონდის შესაქმნელად ფულის შეგროვება. ამ დღეებში დაზარალებული რაიონების მოსახლეობას გაეგზავნება 5000 მანეთი.

ეს დღეები სოფლად.

## შეუფერხებლად მიმდინარეობს

ოქტომბრის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები შეუდგნენ სამარცვლე სიმინდის თესვას.

თესვის კამპანიის შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შეიქმნა მექანიზებული ბრიგადა (ხელმძღვანელი პანტე გრიგოლავა). 100 ჰექტარიდან დათესილია [illegible] ჰექტარზე მეტი.

თესვის კამპანიისათვის მზადებას ადრევე შეუდგნენ მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი ალიოშა ზაქარაია, მექანიზატორები იური ჩანგელია, უშანგი ქირია.

თესვისათვის ტექნიკის მოსამზადებლად დიდი მუშაობა გასწიეს ავტოსატრაქტორო პარკის გამგე გული სარჩმელიამ, რემონტიორმა იაშა ფეტელავამ.

თესვა აგროვადებში დამთავრდება.

ა. შამუგია.

## ვთესოთ აგროვადებში

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მიმდინარეობს ერთწლიანი სამარცვლე და საკვები კულტურების თესვა.

ერთწლიანი სამარცვლე და საკვები კულტურებისათვის განკუთვნილ 5615 ჰექტარიდან დათესილია 1870 ჰექტარი. სამარცვლე სიმინდი უნდა დაითესოს 2500 ჰექტარზე, 1 მაისისათვის ეს კულტურა დათესილი იყო 1200 ჰექტარზე, სოიო 500 ჰექტარიდან —50, ბოსტნეული კულტურები 65 ჰექტარიდან—15, სასილოსედ და მწვანე მასად 2500 ჰექტარიდან 600 ჰექტარზე, ეთერზეთოვანი კულტურები 50 ჰექტარიდან 5 ჰექტარზე.

თესვის კამპანია ორგანიზებულად მიმდინარეობს ახალაბასთუმნის, ახალკახათის, კახათის, ნარაზენის, ჭითაწყარის კოლმეურნეობებში, ანაკლიის, დარჩელის, ზედაეწერის, ინგირის მეურნეობებში.

### ქ. ზუგდიდში შეიქმნა პრეზიდენტობის კანდიდატ ბატონ ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე —თამაზ ქორქოლიანი.
2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი—ალბინა გაბნიძე.
3. საინფორმაციო განყოფილება—გიორგი ტყებუჩავა.
4. საპროგრამო ჯგუფი—თემურ ჯგუშია.
5. საფინანსო ჯგუფი—გობრონ ჯახია.
6. არჩევნების მეთვალყურეთა ჯგუფი—ცაცა შელია, ზვიად ჟურულია, ბადრი დარასელია, მაია კალანდია, ზვიად კიტია.
7. სამეურნეო ჯგუფი— ანრიდ სანაია.
8. მობილური საագიტაციო ჯგუფი—ნუგზარ ქანთარია.
9. იურიდიული განყოფილება—ნატო აკობია.
10. პრესცენტრი —თემურ ცანავა.

საარჩევნო კომისიის მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის 90 მე-4 სართული. ტელ: 2-22-39.

## გადაირიცხა 50 ათასი მანეთი

29 აპრილს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს საქართველოს. უსახლკაროდ დარჩა ათეული ათასობით კაცი, არის ადამიანების მსხვერპლიც.

აი რა გვაცნობა გუშინ № 12 სამშენებლო ტრესტის მმართველმა დ. ქუჩულორიამ:

მშენებელთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა გულთან მიიტანა ბუნების სტიქიით დაზარალებულთა გასაჭირი. უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები. დაზარალებულთა ანგარიშზე გადავრიცხეთ 50 ათასი მანეთი. მაგრამ ამით მარტო არ დავკმაყოფილდებით. პროფკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით შეიქმნა მშენებელთა რაზმები, რომლებიც გაემგზავრნენ სტიქიით დანგრეულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად, მშენებლებს მივაშველებთ ტექნიკასა და სამშენებლო მასალებს.

## ახლოა სეზონი

ინგირის კოლმეურნეობის მეჩაიე მშრომელები 5 მაისიდან შეუდგებიან ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას. 820 ჰექტარზე დამთავრებულია გასხვლა, სასუქების შეტანა-კულტივაცია. მზადაა უტარო გადაზიდვის მანქანები, გააჩნიათ საჭირო ბრეზენტები; საჭირო მასალების უქონლობის გამო ფერხდება ფარდულების შეკეთება.

* * *

ინგირელები 120 ჰექტარზე აწარმოებენ ერთწლიანი კულტურების თესვას. სამარცვლე სიმინდისათვის გათვალისწინებულია 40 ჰექტარი.

მხვნელ-მთესველებს დღეისათვის თესვა ჩატარებული აქვთ 50 ჰექტარზე.

თესვა გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა აზრისა ვარ ზუგდიდის საკრებულოზე

რა აზრისა უნდა იყოს კაცი საკრებულოზე, რომელსაც ნორმალურად ფუნქციონირება არც კი დაუწყია,—იფიქრებს ზოგიერთი ამ წერილის სათაურის წაკითხვისთანავე. მე კი გინდ დამიჯერეთ გინდა არა, საკუთარი აზრი უკვე გამაჩნია ხსენებულ საკრებულოზე და ეს აზრი თქვენც მინდა გაგიზიაროთ, პატივცემულო მკითხველებო.

დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ არჩევნების პერიოდში, საზოგადოების დიდი ნაწილი აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამა თუ იმ დეპუტატობის კანდიდატების მიხამართით, რომლებიც დასახელებულნი იყვნენ სხვადასხვა საარჩევნო უბნებში. ამბობდნენ, რომ ზოგიერთი კანდიდატი უღირსია თავისი მორალური და ინტელექტუალური პოტენციალით და ასეთ პირებს არჩევნებში მონაწილეობის ნებას რატომ რთავენო.

კანდიდატების შერჩევა მკაცრი კრიტერიუმებით რომ მომხდარიყო, დარწმუნებული ვარ, იტყოდნენ: არჩევნები არადემოკრატიულად ტარდებოდაო.

საქართველოს რესპუბლიკის საარჩევნო კამპანია კი იყო საყოველთაო, ფარული კენჭისყრით და დემოკრატიული. ასე, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში ყველას თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა გააჩნდა. თითოეული ჩვენთაგანი არჩევანის წინაშე იდგა და საკუთარი ხინდისის კარნახით უნდა მოქცეულიყო.

მართალია, მთელ რიგ უბნებში არჩევნები ხერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობდა, მაგრამ ამის დაძლევაც შეიძლებოდა, თითოეულს რომ პრინციპულობა გამოეჩინა ეროვნულ საქმეს ინდიფერენტულად, სახსვათაშორისოდ არ მოკიდებოდა და ბევრს სხვისი ხელით არ მოხურვებოდა იმის გაკეთება, რაც თავად ძალუძდა.

ახე რომ რაიონი და ქალაქი ღირსია იმ საკრებულოებისა, რაც მან აირჩია. არავის, არავის მიმართ ხასაყვედურო არ ეთქმის, გარდა საკუთარი თავისა. რაც დავთესეთ—იმას მოვიმკით.

ხშირად საკრებულოს მიმართ სარკასტული საყვედურები ისმის იმის მოტივით, რომ ის არაკომპეტენტური, უცოდინარი ინდივიდებითაა შევსებული. ვინც საკითხს ამგვარად სვამს, თავად თუ უწყის: რა არის „ცოდნა?!“ თუ ისინი ცოდნის ცნების კლასიკურ ინტერპრეტაციას ითხოვენ,— ეს ვერ შეძლო თავად სოკრატემ. სხვა მხრივ, უსამართლო იქნება იმის არდანახვა, რომ საკრებულოში (უნიჭოებთან ერთად, როგორც მავანნი ამბობენ) საკმაოდ პროფესიონალი ეკონომისტები, ჰუმანიტარები, ტექნიკოსები თუ სხვა პროფილის სპეციალისტებიც გახლავან თავმოყრილნი. და რომ ეს ასეა, ამის დამტკიცება მათ შეუძლიათ კიდევაც. საპირისპირო შემთხვევაში. ამიტომ მოდით, ყველას ერთ ტაფაში ნუ მოვაკლებთ, ვისწავლოთ კარგის შემჩნევაც. მარტო ცუდზე ნუ გაგვირბის თვალები. ასე რამ დაგვბრმავა, ასე რამ გაგვაღიზიანა?

ბევრი „წუხს“ რომ საკრებულოს კადრები არც თეორიულად, არც პრაქტიკულად გაუთვითცნობიერებულნი არ არიან. ეს კი ისედაც აწეწილ ეროვნულ საქმეში სრულ ქაოსს შეიტანსო. გამოსავალს კი იმაში ხედავენ, რომ თავად დაინიშნონ წამყვან დარგებში, როგორც მცოდნენი და განათლებულნი. ამას, რა თქმა უნდა, საჯაროდ არ აცხადებენ,— გულში ფიქრობენ.

ნება მიბოძეთ, ვკითხო ბატონ ერუდიტებს: კი მაგრამ სად ბრძანდებოდნენ მაშინ, როცა დღევანდელი საკრებულოს მეტწილი ბიჭები, ჯერ კიდევ საშიშ პერიოდში მიტინგებს, საპროტესტო აქციებს აწყობდნენ და ქუჩაში შიმშილობდნენ? რატომ არ ედგნენ გვერდში მოპროტესტეებს, მამულისათვის დღევანდელი გულშემატკივარი ინტელიგენტები? ნუთუ მაშინ არ აწუხებდათ ქვეყნის ბედი?!—სამწუხაროდ, არა! ზოგიერთი მათგანი იმ დროს ეროვნულ მოძრაობას დასცინოდა კიდევაც. ზოგი დუმდა, იმიტომ რომ ეშინოდა. დღეს ყველა ყოყლოჩინობს, ყველა პრეტენზიული გამხდარა.

აქვთ კი მორალური უფლება ამ ადამიანებს უყიჟინონ და ახალ უფროსებად მოევლინონ იმ ხალხს, რომელსაც ეროვნული მოძრაობის ადორძინების დღიდანვე დროშა ხელიდან არ გაუგდია? ეს მკითხველმა განსაჯოს.

მე, რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ პასუხსაგებ თანამდებობებზე ენთუზიასტები დაწინაურდნენ და არა ინტელიგენტები. პირიქით, ინტელიგენტობა და ენთუზიასტობა ერთმანეთთან უნდა თანაარსებობდეს. უბრალოდ, იმის - თქმა მსურს, რომ ამაგი უნდა დაფასდეს. უმადურობა—ცუდი სენია.

ზოგიერთი ქირქილებს, საკრებულოში საკმაოდაო ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი ელემენტები, მამულის სახელით რომ გამოდიან, სინამდვილეში კი პირადი ამბიციები ამოძრავებთო.

ყოველ ისტორიულ ხტადიაში, ყველა ხახელმწიფოში, როდესაც იწყებოდა ღირებულებათა გადაფასება, როცა ერთი ხელისუფლება იცვლებოდა მეორეთი, ამოქმედდებოდნენ კვაჟები. ასე ყოფილა ოდითგან: გულადს ყოველთვის მიტმასნია ლაჩარი, ბრძენს—უმეცარი. ასე, რომ დღევანდელ დღესაც ნუ შევნედავთ მხოლოდ სპექტრალური ფერებით. კარგია ვიყოთ რომანტიკოსები, მაგრამ რეალიზმის გრძნობაც ნუ გვიღალატებს.

სამოცდაათი წლის განმავლობაში დაგუბებულმა წყალმა გაარღვია ჯებირები, დინებას თან გადაჰყვება შლამი და ნალექი, დაიწმინდება წყალი, დასახვეწი დაიხვეწება. მერწმუნეთ, ამას დიდი დრო არ დასჭირდება.

რაკი საკრებულო ერის სახელით მოქმედებს, მოდით, ნაადრევი განაჩენის გამოტანაზე თავი შევიკავოთ. რომ იტყვიან, მაღლა აგდებული ვაშლის ჩამოვარდნასაც დრო უნდა. ჩვენ სამოცდაათი წელი ვითმინეთ, ნუთუ მცირე ხანს არ შეგვიძლია დავაცალოთ, რას მოიმოქმედებს ახალი საკრებულო? ვერ იღვაწებენ? მათი ბედი თქვენს ხელთაა. როგორც აირჩიეთ, ისე გადაირჩევთ.

თუ ვინმესთვის მიზანს თანამდებობა წარმოადგენდა, მიზნის მისაღწევ საშუალებას კი ეროვნულ მოძრაობას მიტმასვნა, ამას უმოკლეს ვადაში დრო და პრაქტიკა გამოაჩენს.

დიახ, ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილებია თუნდაც ის კომუნისტები, რომლებმაც არჩევნების წინა დღეს დაყარეს პარტბილეთები, რათა საკრებულოებში მოხვედრილიყვნენ. აბსოლუტური პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ისინი ნეოყვარყვარიზმის გალერეის კლასიკურ პერსონაჟებს წარმოადგენენ, საკმარისია მძიმე განსაცდელი დაუდგეს „მრგვალ მაგიდასაც“, მასაც ჩვეულებისამებრ დატოვებენ ისე, როგორც დამფრთხალი ვირთხები ტოვებენ ცეცხლმოდებულ ხომალდს.

კომუნისტების ერთმა კატეგორიამ პარტბილეთები დააბრუნა გაცილებით ადრე, ვიდრე ხელისუფლების სათავეში „მრგვალი მაგიდა“ მოვიდოდა. შეიძლება ითქვას, მათ ეს ყოველგვარი მერკანტილიზმის გარეშე გააკეთეს.

კომუნისტების მეორე კატეგორია პარტბილეთებს, როგორც აღვნიშნეთ, არჩევნების წინა დღეს დაითხოვა. ვთქვით, რომ ისინი მიტმასნილები არიან. მესამე კატეგორია კომუნისტებისა კლეოპლასნდისებურად მოიქცა, ხალხის თვალში საჩოთიროდ რომ არ გამოჩენილიყო, წინასაარჩევნო დღეებში კი არ გასულა კომპარტიის რიგებიდან, არამედ არჩევნების შემდეგ. ხოლო კომუნისტების მეოთხე კატეგორია ე. წ. „მონოლითური“ კომუნისტები არც მომავალში ფიქრობენ ამ რიგების ღალატს და მტკიცედ, ერთგვარი სიამაყითაც კი აცხადებენ, რომ იყვნენ და დარჩნენ კომპარტიის ერთგულნი,

ყველა უფლებამოსილია მოიქცეს ისე, როგორც საკუთარი გონება კარნახობს. უბრალოდ, „მონოლით“ კომუნისტებს კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ, რომ კომუნიზმი უცხოეთში ჩასახული, არაქართული ფენომენია, რომლის განსახორციელებლად არასდროს გადაუდგამთ ნაბიჯი პრაგმატიკოს ევროპელებს, ვინაიდან თავიდანვე განჭვრიტეს მისი უტოპიურობა.

კომუნიზმმა ჩვენ სანუკვარი რამ—მამულისა და ერის თავისუფლება წაგვართვა. მან ცეცხლითა და მახვილით ჩაგვიკლა სარწმუნოება. კომუნიზმი შეეცადა მშობლიური ენის წართმევას, რომ არა ახალგაზრდობის თავგანწირვა. კომუნიზმმა მოსპო ინტელიგენცია, სწორედ მან, სამოცდაათი წლით უკან დასწია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, კულტურა და ა. შ. და ა. შ.

კომუნიზმის ანტიბუნებრიობა დიდი ხანია დაამტკიცა მიუკერძოებელმა მსაჯულმა—დრომ.

ზოგიერთი კამათობს, კომუნიზმი, როგორც მოძღვრება, ცუდი არ ყოფილა, ის პიროვნებებმა დაამახინჯესო. გავიგოთ, ბოლოს და ბოლოს, კომუნიზმის იდეების ცხოვრებაში პრაქტიკულად ვერ განხორციელება სწორედ კომუნიზმის უტოპიურობა. არის ისეთი ზღაპარი, რომელიც არასდროს გაცხადდება და ეს ზღაპარი კომუნიზმია.

რაც შეეხება კომუნიზმის ბელადებს, დღეისათვის ხომ ცხადი შეგვექმნა, რაოდენ ცოდვით დამძიმებული სულის მატარებელნი ყოფილან ისინი? ყოველივე ამის შემდეგ მაინც ერთგულებდე ამ პარტიას, სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს!

ბევრი მართალია, არაოფიციალურად, მაგრამ ქუჩაში თანამოსაუბრეებთან ჩივის, რა იქნება ის საკრებულო, საქმოსნებიც რომ არიან გარეულნიო.

ამ ადამიანებს მინდა შევახსენო, რომ ჩვენ ხელოვნურად ისეთ დამახინჯებულ პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება, მეტნაკლებად, ნებსით თუ უნებლიეთ—ყველანი ცოდვილები ვართ. ამიტომ, სანამ სხვას ჩავქოლავდეთ, საკუთარ თავს დავეკითხოთ, გვაქვს კი მორალური უფლება მოძმეს ქვა ვესროლოთ? აბა, ვინ მოიპოვება ჩვენს შორის ისეთი, ლამისაა გვერდზე ანგელოსის ფრთები რომ გამოესხას? ამოვუტყდეთ საკუთარ თავს, სხვა თუ მდიდარია ო. ჩვენ უქონელნი, ეს ხშირად იმით როდია განპირობებული, რომ წარსულში სპეტაკად ვმუშაობდით (იშვიათი გამონაკლისის გარდა) არამედ იმით, სარფიანი სამსახური რომ არ გაგვაჩნდა. ან კიდევ ჰკუა არ გვეყო ფულის საშოვნელად. თორემ ჩვენც იმას მოვიმოქმედებდით, რისთვისაც ახლა სხვებს ვძრახავთ. ვფიქრობ, დღეს სხვათა დაძრახვაში უფრო „შავი შურის შარი-შური“ იგრძნობა ვიდრე პატრიოტული აღტკინება. ამ წერილის ავტორიც თქვენი მონა—მორჩილი, არ გახლდათ მამა აბრაამის ბატკანი. ისიც საკმაოდ ცოდვილია. გვახსოვდეს, ქვეყნად უცოდველი მხოლოდ პანტოკრატორი ქრისტე იყო. ამიტომ მოდით, საკრებულოს რაკი სურს ახალი ცხოვრების დაწყება, დავაცადოთ.

ბატონებო, ბაუგებრობა თავიდან რომ ავიცილოთ, განვმარტავ, რომ ამ წერილით მე არ ვაპირებ საკრებულოს თითოეულის—მის გასამართლებას და ვინმეს გამტყუნებას. ეს წერილი მე დავწერე მხოლოდ იმათი მისამართით, რომლებიც სხვისგან ითხოვენ საქმეებს საგმირონს, თავად კი შორიდან მჭვრეტელის პოზიცია აურჩევიათ. ეს წერილი დაიწერა იმ პირებზე, მხოლოდ ლამენტაციებს რომ მიმართავენ, წუწუნებენ და არავინ და არაფერი მოსწონთ ცისქვეშეთში.

ხალხს აქვს უკმაყოფილების საკმაოდ დიდი საფუძველი, მაგრამ სტოიკურობა, პირსა შიგან გამაგრება გვმართებს. რა ვქნათ, ეს დაუბედებია ჩვენთვის მის აღმატებულება ბედისწერას. ურთულესი პერიოდი უნდა დაიძლიოს.

და თუ არ შევიგნეთ რომ მამული ერთია, რომ ის უნდა გვიყვარდეს გულით, გონებით და არა კუჭით, რომ ჩვენ ერთი ვაშლი გვაქვს და ის თუ ძმურად არ გავიყავით, ის ვაშლი იქცევა განხეთქილების ვაშლად. ქართველები უფრო დავჩიავდებით, უფრო გადავგვარდებით და იმ წუმპეში ამოვითხვრებით დიდა-წულიანად, სადაც ეგრე არხეინად გრძნობდა თავს თავადი თათქარიძე.

როდესაც აკაკის ჰკითხეს: რომელია ყველაზე დიდი ბედნიერებაო, მან უპასუხა: გარემოების ატანა. დიახ, ჩვენ გარემოების ატანა გვმართებს არა მონური მორჩილებით, არამედ გაუკუღმართებული ცხოვრების გაწალმართების იმედითა და ბრძოლით.

ფუჭსიტყვაობის დრო აღარ არის. ახლა საკრებულომ ხალხს რწმენა უნდა დაუბრუნოს საკუთარი სისპეტაკით, ცოდნითა და პრაქტიკული საქმით, „ვინაიდან როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმის გარეშე“— გვმოძღვრავს კათოლიკე ეპისტოლენი...

ზვიად ჟურულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ**

**სახელმწიფო საცალო ფასების ერთდროული მომატებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით მიღებულმა საკავშირო კანონმა, რომელიც ძალაშია მიმდინარე წლის 2 აპრილიდან, სულ არაა ისედაც ძრეული მონასტერი. ფასები, პრივატიზაცია, საკუთრების სხვადასხვა ფორმების თანასწორუფლებიანობა რეფორმის ნაწილებია და მხოლოდამხოლოდ მათი ჯამი ქმნის რეფორმას სრული სახით.**

**ამჟამად მოქმედი ფასების მომატების კომპენსაცია უფრო ხარჯულამო ხასიათისაა, ვიდრე სერიოზული, ვინაიდან ასპროცენტიანი კომპენსაცია აბსურდია, რადგან მაშინ თვით ფასების მომატებას ეკარგება ყოველგვარი აზრი.**

**აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვებზე პასუხობს ზუგდიდის ზონის საფინანსო განყოფილების გამგე ბ. წურწუმია.**

# ᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲘᲒᲘ?

**—ბატონო კოტე, უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ დაგვიკონკრეტოთ ყოველგვარი საკომპენსაციო თანხების გაცემის თავისებურებები.**

—1991 წლის 2 აპრილიდან სახელმწიფო საცალო ფასების შეცვლით გამოწვეული დამატებითი ხარჯების კომპენსაციის მიზნით სახელმწიფო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე ყველა კატეგორიის მუშაკებს, მათ შორის მთლიან განაკვეთზე მომუშავე პენსიონერებს ყოველთვიურად მიეცემათ კომპენსაციის სახით 60 მანეთი, ხოლო ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პენსიონერებს საკომპენსაციო თანხად განესაზღვრებათ 30 მანეთი.

შრომისუნარიან მოქალაქეებს, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან 1991 წლის პირველი იანვრიდან, კომპენსაციის სახით ყოველთვიურად მიეცემათ 50 მანეთი.

არამომუშავე კატეგორიის დიასახლისებზე საკომპენსაციო თანხის გაცემის საკითხი დამუშავების სტადიაშია.

რაც შეეხება არამომუშავე პენსიონერებს, ისინი ძირითადი პენსიის გარდა კომპენსაციის სახით ყოველთვიურად მიიღებენ 70 მანეთს.

**—რას გვეტყვით საშემოსავლო გადასახადების დაქვითვებთან დაკავშირებით?**

—კომპენსაციის თანხები საშემოსავლო გადასახადებით არ იბეგრება, რადგან დაუბეგრავი მინიმუმი გაზრდილია 160 მანეთამდე, ნაცვლად ადრინდელი 100 მანეთისა.

**—რა პრინციპებით დაუწესდებათ უმაღლესი, საშუალო-სპეციალური, პროფტექნიკური სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს ყოველთვიური სტიპენდიები?**

—უმაღლესი, საშუალო-სპეციალური, პროფტექნიკური სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს უკვე დაუწესდათ სტიპენდიები, მათი ცხრილი გვიჩვენებს, რომ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ შეფასება „კარგი", სტიპენდიის სახით თვეში მიეცემათ 120 მანეთი, „კარგი" და „ფრიადი" შეფასებებით გამორჩეულ სტუდენტებს 135 მანეთი, ფრიადოსნები ყოველთვიურად მიიღებენ 150 მანეთს.

ობოლ ბავშვებს და მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ სტუდენტებს სტიპენდიის სახით ყოველთვიურად მიეცემათ 160 მანეთი, იგივე კატეგორიის „კარგი" და „ფრიადი" შეფასებებით გამორჩეულ სტუდენტებს 185 მანეთი, ფრიადოსნებზე კი თვეში გაიცემა 210 მანეთი.

სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფ ბავშვებს სტიპენდიის სახით დაუწესდებათ ყოველთვიურად 100 მანეთი, ანალოგიური კატეგორიის სტუდენტებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს „კარგი" და „ფრიადი" შეფასებებით—115 მანეთი, ფრიადოსნებს კი თვეში აუნაზღაურდებათ 130 მანეთი.

საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს სტიპენდიის სახით თვეში მიეცემათ 100 მანეთი, „კარგი" და „ფრიადი" შეფასებებით გამორჩეულებს 110 მანეთი, ფრიადოსნები კი ყოველთვიურად მიიღებენ 125 მანეთს.

მსგავსი კატეგორიის სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც სახელმწიფოს კმაყოფაზე იმყოფებიან, სტიპენდიის სახით ყოველთვიურად მიეცემათ 80 მანეთი, „კარგი" და „ფრიადი" შეფასებებით გამორჩენილ მოსწავლეებს 90 მანეთი, ფრიადოსნებს კი თვეში აუნაზღაურდებათ 105 მანეთი.

ყველა ტიპის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სადაც სწავლების ვადა სულ მცირე 10 თვეა, კარგ მოსწავლეებს, რომლებიც მთავრობის დადგენილების საფუძველზე უზრუნველყოფილნი არიან ფორმის ტანსაცმლით და კვებით, სტიპენდიის სახით ყოველთვიურად მიეცემათ 40 მანეთი, „კარგი" და „ფრიადი" შეფასებებით გამორჩეულ მოსწავლეებს 45 მანეთი, ფრიადოსნებზე კი თვეში გაიცემა 50 მანეთი.

მოსწავლეებს რომლებიც უთანაბრდებიან სამამულო ომის პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს ყოველთვიურად მიეცემათ 60 მანეთი, „კარგი" და „ფრიადი" შეფასებებით გამორჩეულებს 70 მანეთი, ფრიადოსნებზე კი თვეში გაიცემა 85 მანეთი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომლებიც სტიპენდიებს ღებულობენ, მაგრამ მათი ოდენობანი არ არის განსაზღვრული ამჟამად მოქმედი დადგენილებით, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს კომპენსაციის სახით მიეცემათ 60 მანეთი, საშუალო-სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები კი მიიღებენ ყოველთვიურად 55 მანეთს.

**—როგორ გაიზრდება არასრულწლოვან ბავშვებიანი ოჯახის ბიუჯეტი?**

—ყოველი ბავშვის დაბადებისას ერთდროული დახმარების სახით გაიცემა 250 მანეთი. ასევე ერთი წლის მუშაობის სტაჟის მქონე დედებს (ქალებს, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი, სამუშაო სტაჟის მიუხედავად), მოსწავლე დედებს, ორი ან მეტი ბავშვის დაბადებისას ყოველთვიური დახმარების სახით თითოეულ ბავშვზე მიეცემათ 115 მანეთი, მანამ, სანამ ბავშვს არ შეუსრულდება 1,5 წელი.

ხოლო მომუშავე დედებს, (რომელთაც აქვთ 1 წლამდე მუშაობის სტაჟი) ბავშვის ერთნახევარი წლის ასაკის მიღწევამდე დახმარების სახით ყოველთვიურად აუნაზღაურდებათ 85 მანეთი, ასევე არამომუშავე დედებს.

უფრო მეტიც, დახმარებები დაუწესდებათ იმ ბავშვიან ოჯახებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი ოჯახის 1 წევრზე არ აღემატება თვეში 280 მანეთს.

1,5 წლიდან 6 წლამდე თითოეულ ბავშვზე თვეში გაიცემა 85 მანეთი, ხოლო ბავშვებზე, რომლებიც არ ღებულობენ დახმარებებს სოცუზრუნველყოფის სისტემით, 1 წლის ასაკამდე: (აგრეთვე მოსწავლეებზე, რომლებსაც არ უნაზღაურდებათ სტიპენდიები 18 წლის ასაკამდე) ყოველთვიურად მიეცემათ 40 მანეთი.

საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებით 1 წელზე გაანგარიშებით 6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის დაწესებულია 200 მანეთი (კვარტალური გაცემით 50-50 მანეთი), 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის 240 მანეთი (კვარტალური ანაზღაურებით 60-60 მანეთი), 13-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის 280 მანეთი (კვარტალურად 70-70 მანეთი).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დახმარებებისა ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებს, რომელთა ერთი წევრის საშუალო თვიური შემოსავალი არ აღემატება 50 მანეთს, თითოეულ ბავშვზე 12 წლის ასაკამდე დახმარების სახით გაიცემა 12-12 მანეთი.

**მცირეწლოვანთა მშობლებს აინტერესებთ, რა საბუთებია საჭირო საკომპენსაციო დახმარების მისაღებად?**

—საკომპენსაციო დახმარების მისაღებად მცირეწლოვანთა მშობლებმა უნდა წარმოადგინონ: ა) განცხადება, ბ) ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, დაბადების წლისა და ნათესაური კავშირის ჩვენებით გ) ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, დ) ცნობა დამხმარე მეურნეობიდან შემოსავლის შესახებ, ე) ცნობა მშობელთა გამომუშავების (ხელფასის) შესახებ, წინა წლის მიხედვით (თუ რომელიმე მათგანი არ მუშაობს, აღნიშნულზე საჭიროა სათანადო ორგანოების ცნობა).

**—მოსახლეობა შეწუხებულია იმის გამო, რომ სავაჭრო ორგანიზაციებში ამა თუ იმ საქონლის შეძენისას საპრეისკურანტო ფასებს ზევით ახდევინებენ 5 პროცენტს. ზოგმა მას „საპრეზიდენტო" გადასახადი უწოდა. რას წარმოადგენს ეს გადასახადი და დაირიცხება იგი თუ არა ყველა სახის სასაქონლო პროდუქციას?**

—საპრეისკურანტო ფასებზე 5 პროცენტის დანამატი დაწესებულია საკავშირო მინისტრთა კაბინეტის მიერ, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმდინარე წლის 20 აპრილის ბრძანებულებით გაუქმებულია იგი საქართველოში წარმოებული და რესპუბლიკის ტერიტორიაზე სარეალიზაციო პირველადი მოთხოვნილების საგნებზე, ზოგიერთი სახეობის მომსახურებაზე, მათ შორის ტაქსზეც.

საუბრის დასასრულს მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთ „ოდიშის" საშუალებით ვთხოვო ზუგდიდში განლაგებულ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ გულთან ახლოს მიიტანონ საკომპენსაციო თანხების დროული გაცემის აუცილებლობა, მართალია იგი მინიმალურადაც ვერ აანაზღაურებს ფასმომატებისაგან გამოწვეულ დანაკლისს, მაგრამ მის დროულად გაცემასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

**ესაუბრა ᲗᲐᲛᲐᲖ ᲠᲝᲒᲐᲕᲐ.**

**ᲒᲕᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲘ:** სანამ წერილი საგაზეთოდ მზადდებოდა, გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის ახალი კანონი, საცალო ფასების რეფორმასთან დაკავშირებით ბავშვებიანი ოჯახებისათვის კომპენსაციის მიცემის შესახებ, რომლის თანახმადაც ბავშვიან ოჯახებს 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის (მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ იღებენ სტიპენდიებს 18 წლამდე), რომლებიც არ იღებენ დახმარებებსა და პენსიებს სოციალური უზრუნველყოფის მოქმედი სისტემით, აგრეთვე არასრულწლოვანბავშვიან ოჯახებს საბავშვო ასორტიმენტის საქონლის არსებითად გაძვირებასთან დაკავშირებით დადგენილი კომპენსაციები მიეცემათ ოჯახის საერთო შემოსავლის მიუხედავად.

**ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ**

## ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲓᲐᲒᲔᲚᲝᲪᲝᲗ!

მრავალი გასაჭირი ადგას ქართველ კაცს. ყოველი დღე ათასი საზრუნავითა და საფიქრალითაა აღსავსე. ასეთ დროს მოძმისთვის ხელის გამართვა, მდგომარეობის შემსუბუქება, თანადგომა ეროვნული საქმეც არის და დიდი მადლიც,— ასე ვფიქრობთ ჩვენ, ქ. ზუგდიდის საზურგე მეურნეობის ბინაში მცხოვრებნი, რომლებიც ჩვენს წვრილშვილთან ერთად ვიტანჯებოდით გაუმართავ, გაპარტახებულ ბინაში. ვის არ ვთხოვეთ დახმარება, ვის არ მივმართეთ, ხაშველი არ დაგვადგა, იმედგაცრუებულებს, რწმენაშელახულებს ისღა დაგვრჩენოდა ბედს შევგუებოდით გაერთიანება საქაგრომშენის ზუგდიდის სპეციალური, მოძრავი მექანიზებული კოლონა №7 რომ არა.

დღეისათვის, შეძლებისდაგვარად, თითქმის ყველაფერი მოგვარებულია. შესრულდა არაერთი მნიშვნელოვანი სამუშაო. და რაც მთავარია, — გული რწმენით აგვევსო ასეთ კეთილ ადამიანებთან შეხვედრის გამო. მადლობას ვუხდით გაერთიანება საქ. აგრომშენის ზუგდიდის სპეციალურ მოძრავ მექანიზებულ კოლონა №7 უფროსს დ. ჯიშკარიანს, სამუშაოთა მწარმოებელს ზ. ჯიშკარიანს, ელექტრომემდუღებელს ზ. ბუჯეჯიანს, სანტექნიკოსებს: ნ. მარველიანსა და ზ. ფარცვანიას.

მარჯვენა დაგელოცოთ შვილებო!

ქ. ზუგდიდის საზურგე მეურნეობის ბინაში მცხოვრებთა სახელით. ომის ვეტერანი
ჩ. ქᲔᲠᲘᲐ.

## ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲒᲐᲓᲐᲛᲐᲠᲩᲘᲜᲔ

ვისაც ძმობა შევფიცე—
სამკვდროდ გადამეკიდა
(ეკლად დარჩა ეკალი,
ამოსული ეკლიდან).
ყველა ისე მიყურებს
თითქოს ვიყო ავი ზნის,
ვერ გავიგე, ვიძმე და
რომ მემტრობა რა მიზნით?!
ყველა ცდილობს ჩემს ციცქნა
მიწას დაეპატრონოს,
მაგრამ ძალით მიხზალსაც,
ვერ დაგვუთმობ, ბატონო!
[illegible]
ჩემს თუ ვერ დავიცავ,
მერქვა როდის იქნება
ვიყო თავის მეუფე.
...ღმერთო, ნუღარ მომაქცევ
იუდების ალყაში,
მეორედ ნუ ჩამაგდებ
იმპერიის ხახაში.
ველეშაპი კუდს იქნევს,
წყაროს მიმღვრევს ანკარას,
ატრიალებს, აბრუნებს
ჯოჯოხეთის მაშხანას.
ჯერ „ისევ ძმობა", შემდეგ კი
გადაყლაპვას ეცდება,
ასეთია საერთოდ
იმპერიის წესდება.
ყულფში თავის გაყოფა
არ მოხდება მეორედ,
ერთხელ შევცდი, უფალო!
და თუ გავიმეორე—
მართლაც ზურგი მაქციე,
მართლაც გადამაშენე,
სამუდამოდ შემრისხე,
მომსპე და შემაჩვენე.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲚᲘᲐ.

## „ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა“...

ჟამთააღმწერელი უთუოდ გა-
დამღერა საქართველოს მტიანეს და ჩაწერდა: —ქვეყნის დასაბამიდან 7595 წელს შეიბნენ ქართველნი და ოვსნი. ხოლო ქართველნი აღესრულნენ უმეტესად ოვსთა მზაკვრობით. და გარდაცვლილ ქართველთათვის კათოლიკოსმან აღავლინა ლოცვაკურთხევა.

ჯანო რაფავა თავისი სიკვდილით ჩემთვის ვაჟკაცობის სიმბოლოდ ქცეულ ვაჟა-ფშაველას გმირებს მაგონებს.

„ჩამიგდეთ ხელში ძაღლებო, კარგი დაგიდგათ დარია“... ჯანოც ალბათ ქართველურად უწევდა წინააღმდეგობას ავაზაკ ოსებს: „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“...

რა უნდა გითხრათ ოსებო?!
„უიარაღოს აწვალებთ,
გული რას გიგრძნობთ თავადა?
„ცემა მზემ, ამგვარ ვაჟკაცებს მხოლოდ ღალატით თუ ჩაიგდებთ სენი წირიმე!“ —ასეთია თქვენი პასუხი.

„რაი არიან ოსები?... კატები არიან, ცხოი რაი?!“ —ამბობდა გაგულისებული ალექსანდრე ყაზბეგი.

საქართველოს წითელი ისტორიის მანძილზე ხომ გვაწამეთ, გვიტუხთლეთ, წაგვლეკეთ... ახლა კი რჩეულ ვაჟკაცებს გვიკლავთ. ჯანო რაფავასა და მასთან ერთად დაღუპული ახალგაზრდების სისხლს არ შევარჩენთ მტერს. ერთხელ დაბადებულებს ერთხელ გვინდა სიკვდილი. გავწყდეთ ხალხნო და უცხოს ნუ გავაბატონებთ, ჩვენ ამ დაღუპულ ვაჟკაცებს დავემსგავსებით სრულიად საქართველომ რომ სანთლებად აინთო, ივერია ბრძოლაში მოკვდება და არ დაიბრუნებს ბორკილებს.

ჩვენს თეთრჩოხიან რაინდებს კი სასუფეველში მიეგებებიან შალვა ახალციხელი, დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, მერაბ კოსტავა... ქართულ წუთრას გაუშლიან, აი ისეთს, ბაგრატ კურაპალატის სადარს, დაილოცებიან და მიიღებენ თავიანთ ორდენში.

ახლა კი, ამ სევდიან გულზე უცაბედად ლადო ასათიანის სტრიქონები მახსენდება:
„საით წავიდნენ ვაჟები, რად მიატოვეს რაშები,
რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშებო?!
მაინც ეს ერთი თეთრონი რა გულსაკლავად ჰიხვინებს,
ბედშავო, ვისაც ეძახი, ვაი, რომ ველარ იხილე!...
დაძრწიალებენ, დარძწიან, ქაფმორეული ლაშებით
მხედრებო, ასე ულმერთოდ რად მიატოვეთ რაშები?!“

**მირანდა ჭიჭინაძე,**
მესამე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

## კვლავ გამოისხამს

**სამაჩაბლოში დაღუპულ ჯანო რაფავას ხსოვნას**

კოლხეთში დარი შეცვლილა, ძმაო,
გაყორნისფერდა შენი ოჯახი...
„საქართველოსთვის ბიჭებო სწორდით!“—
ყური დაუგდე ალბათ, მოძახილს.
წახვედი ჩვენგან ვალმოხდილი და
დაგრჩა ბოყვრები წელგამართული,
მსუბუქი იყოს, ნათელი იყოს
შენთვის ეს მიწა, მიწა მამულის!
შენში ქართული გენი ბჟიოდა,
არ შეუშინდი ტყვიების წვიმას.
ბიჭო, შეხედე, შენს ცივ ცხედართან
ყველა ქართველი გლოცავს და გმიხავს...
შენც დაულოცე შენს მამულს შვილები
ჯანო, ნინო და შენი ზაზუნა,
შენ ბედისწერამ სახელოვანი
და ვაჟკაცური ხვედრი გარგუნა.
ნუგეშად ისდა გვრჩება ახლობლებს,
მტერს დაანახე „ვისი გორის ხარ“,
გასახელებენ შენი ობლები
და ხე ახალ ყლორტს კვლავ გამოისხამს.

**მიმოზა ტანავა.**

---

ექიმი ნევროპათოლოგ-კოსმე ტოლოგი **ნინა ვლადიმერის ასული ოვრახი** (კიევიდან) 1 სექტემბრამდე პაციენტებს ღებულობს შემდეგი მისამართით: პლეხანოვის ქუჩა №24. ყოველდღე (ორშაბათის გარდა) დილის 9 საათიდან 1+ საათამდე (ბინაში სანიტნორმები დაცულია, საფინანსო განყოფილების მიერ დაბეგრილია).

ექიმი კურნავს თირკმლებს, ღვიძლს, ალერგიას, ფსორიაზს, ხსნის სხვადასხვა ხასიათის ტკივილებს, კურნავს და კონსულტაციას ატარებს სახის კანის დაავადებებზე.

---

შვილები: პალიკო. რეზო. სულიკო. თალიკო. და ანტისა. ძმები: იროდი. ვანო. იონა თორდიები. რძლები: ლამარა. მერი, ჟენია. ქეთო, ირა, მარინა! მანანა, მანანა. სიძეები: ხუტა ბალათურია, გული კვარაცხელია, ზაურ ქარდავა, თენგო ხორავა, მურმან აკობია, გოჩა კვარაცხელია, ჯანდრი ქადარია, შვილიშვილები, ძმისშვილები, დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**თამარა ეგნატეს ასულ თორდია-ჭითანავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 მაისს. დაკრძალვა 7 მაისს სოფ. ზედაეწერში.

---

მერაბ კოსტავას ქუჩა №5-ში მცხოვრებნი იუწყებიან
**ვახტანგ გრიგოლის ძე ჩიქოვანის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მამიდა ვენერა. მამიდაშვილი ნელი როგავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან
**ჯემალ გერმანეს ძე ბულიას**
გარდაცვალებას.

---

ოქტომბრის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყება
**შოთა პლატონის ძე დიდიშვილის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დიდა ანიჩქა, მეუღლე თამილა, შვილები: სევარიონი, ზაზა, მაია ნადირაძეები. ძმა გმირი, რძლები: ფატიმა ჩიხლაძე, ხათუნა ჯალაღონია, სიძე პაატა საკაშვილი, სიდედრი თინა ტურიაშვილი. სიმამრი მიხეილ კვანჭიანი, მზახალი მირიან ჯალაღონია ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ჯუმბერ სევარიონის ძე ნადირაძე.**
დაკრძალვა 4 მაისს გამოსვენება ქ. თბილისი, მესამე მასივი, ზემო პლატოს დასახლება. კორპუსი 17, ბინა 48.

---

სრულიად საქართველოს თავადაზნაურთა საგვარეულოს წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა ოდიშის რეგიონალური საკრებულო იუწყება, რომ გარდაიცვალა საკრებულოს წევრი
**ვახტანგ გრიგოლის ძე ჩიქოვანი**
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ცაიშის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები იუწყებიან
**ტარიელ ტურავას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე კლარა, შვილები: ასმათი, ავთო. ძმა ბორი. და ლამარა. რძლები: ლალი, ნაზო, ნელი. ქეთო. ნარო. სიძეები ოთარ ვადაქარია. იაშა რაზმაძე. ძმისშვილები: მზევი. ციალა, ციური, ნაირა. თიმური. რამინი. იზო. გოჩა ბულიები. შვილიშვილები: პაპუნა. დათო ვადაქარიები. სალომე ბულია, მაზლიშვილი დევიზ გარუჩავა, მზახლები ჟილინი ვადაქარია, თალიკო ლურწკაია, ბიცოლა ფედოსია, ძმისშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**პიპიკო ტერენტის ძე ბულიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 მაისს. დაკრძალვა 7 მაისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კრილოვის 16.

---

შვილები: ლეილა, იამზე, დარეჯან ფიფიები, სიძეები: ვახტანგ ლავთაძე, როინ გვარამია, შვილიშვილები: რომან დარასელია, მაია. მაკა. შაკა გვარამიები. ვახო ლავთაძე, რძალი მარინა გვასალია, შვილთაშვილი ვიკა დარასელია, ძმისშვილები: გივი. გენო, ნათელა, ვარდიშა კვიკვინიები, მულიშვილები: ჟორა, მერი, არდაშელ ბუკიები, ლუდუკი, ნოდარ. გივი. ჩიტო ქირიები, შაქრო გოგია. ლიანა. ჯემალი. ლუარა კორკელიები, დეიდაშვილები: გრიშა, ლენა, მანანა მიშველიები, სევერიან ჯიქია ოჯახით იუწყებიან
**ზინა დიმიტრის ასულ კვიკვინია-ფიფიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4 მაისს, დაკრძალვა 5 მაისს სოფ. დარჩელში.

---

ხეცერის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ნესტან ტურავას მამის
**ტარიელ გრიგორის ძე ტურავას**
გარდაცვალების გამო.

---

დედა ცაცუ, მეუღლე იზო, შვილები: ჭაბუკა, ბადრი. თეა, ლელა, ძმა კარლო, დები: ვისი, ნანული, მიმოზა, ბიძები: იპოლიტე, ვალოდია ჯანაშიები, ვანო, აკაკი ჯურაშვილები, დისშვილები: ხათუნა, თეა, თუთანა. ხვიჩა, ბესიკი. კობა, ბიჭუნა, რძლები: ნინელი, მარინა, ბიცოლა გოგო, ძმისშვილები: ინგა. წამუკა, პაატა, სიძეები: ნაპო ნანავა, დათიკო აკობია, დეიდები: მარო, ვენერა, ანტისა, ხადია, სიდედრი ნათელა, სიმამრი მეგონა, ცოლისდები: ნელიკო, ნაზი, ნაირა. ცოლისძმა გურამი ანთიები, ქვისლები: სულიკო ჯითია, მურაზ ბერანძე, ჯუმბერ გვილია, ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**ომიკო ბადრის ძე ჯანაშიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4, 5 მაისს. დაკრძალვა 7 მაისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კობახიძის ქ. 74.

---

შვილები: კუკური. როზა. დოდო შონიები, ძმა შოთა აკობია, რძლები, ძმისშვილები. მული, მაზლი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**კლიმენტინა (კლარა) სოფრომის ასულ აკობია-შონიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 7, 8 მაისს. გამოსვენება 9 მაისს, ქ. ზუგდიდი, ტოლსტოის ქ. 5. 17 საათზე.

---

მეუღლე თამაშა. შვილები: ნესტანი. შორენა. თინათინი. და ნადია, ძმა ვაჟა, სიძე ხვიჩა მოსია. მზახლები დემური. სვეტა. დისშვილები: დალი. დარეჯანი. ვიდიკო ბერიშვილები, ძმისშვილები: ინდირა, შალვა, ზვიადი. რძლები: როზა. გულნაზი. როზა. ცოლისძმები: გურამი. ვალერი ლატარიები: ბიცოლები მარო გოგია. ნორა ტურავა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**ტარიელ (ბაჩი) გრიგოლის ძე ტურავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 მაისს. დაკრძალვა 7 მაისს სოფ. ხეცერაში.

---

ოქტომბრის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი თანაუგრძნობს ამავე სკოლის მასწავლებელს კაკო კუტალიას მეუღლის
**ვარლამ (ტიტი) დოროთეს ძე ვართაგავას**
გარდაცვალების გამო.

---

## გამოსათხოვარი

მისმა სიკვდილმა უცაბედად მოვარდნილი გრიგალივით გადაურბინა ენგურის ხეობას. საოცრად გულწრფელმა ტკივილმა და გაოცებამ ძნელად ასახსნელი და დასაჯერებელი ფაქტის წინაშე დააყენა დიდი და პატარა. ყველა ისინი, რომელთა გვერდით უწევდა მუშაობა შესანიშნავ ეკონომისტს, გამორჩეული შინაგანი კულტურითა და სისპეტაკით მოსილ ვახტანგ ჩიქოვანს. 70-იან წლებში, ვისაც თუნდაც ერთხელ მოუწია ასვლა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, შეუძლებელია არ დამახსოვრებოდა ეს საოცრად მოხდენილი, მშვენიერი აღნაგობის ახალგაზრდა, რომელიც თავისი შესაშური ტაქტითა და მშვიდი ხასიათით, თვალში საცემი სიდარბაისლით ადამიანებთან დამოკიდებულების ზედმიწევნით მისეულ სტილს ქმნიდა. მაღალმა პროფესიონალიზმმა იმთავითვე გამოარჩია კოლეგებს შორის და დამსახურებულად დაეკავებინა სამმართველოს საგეგმო-ეკონომიკური სამსახურის წინამძღოლის თანამდებობა.

სიკეთის, გულმოდგინე შრომის, სიყვარულის გზა ერქვა შენს ნახევარსაუკუნოვან სიცოცხლეს, საყვარელო ვახტანგ. შენ არასოდეს არ მიუტოვებიხარ იმ მარადიულ ღირებულებას, რაც განგებისაგან ჩადებულია ადამიანში —ღირსების გრძნობას. ეს თვისებები ძალას და სილაღეს გმატებდა თბილისშიც, როცა ტრესტ „საქჰიდრომშენის“ სახელოვან კოლექტივში საპასუხისმგებლო განყოფილების ხელმძღვანელობა დაგაკისრეს. შენ ის კაცი იყავ, ვისაც შეეძლო ამაყად თავი აეწია და ქმაყოფილებით მოევლო მზერა იმ მეოთხედი საუკუნისათვის, რომელიც ქართული ჰიდრომშენებლობის აღმავლობის ხაქმეს მოხმარდა.

მშვიდობით, დაუვიწყარო მეგობარო და კოლეგავ. კეთილად დამაშვრალი, სვეგატანილი, ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელით მიუხვალ სახელოვან წინაპრებს.

**ინგურჰესელები.**

**რედაქტორი**
**ა. ჭანტურია.**

---

მეუღლე ვაკო. შვილები: ნონა, თემური, გოგია, სიძე ენვერ მამაქაცარია, ძმა აპოლონი, და ლიდა გაგუა. რძალი ნინა ჯაბუა, შვილიშვილები: ლაშა, თამთა მაქაცარიები, ძმისშვილები, თამილა, ფრიდონი. რამინი, რძალი მარინა შამუგია. ბიძაშვილები: რაჟდენი, შურა. ნათელა ჯინჯოლიები, მილიონა, ლუცია, თინიკო. სერგო ვართაგავები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ვარლამ (ტიტი) დოროთეს ძე ვართაგავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 მაისს. დაკრძალვა 7 მაისს 6 საათზე სოფ. ოქტომბერში.

---

მეუღლე დალი, შვილი ნანა, მამა გერმანე, მამიდა ვენერა, მამიდაშვილი ნელი როგავა, ბიცოლები ბაბუცა, შურა. საშა. ბიძაშვილები: ლიანა, ნანა, ინდიკო, მურთაზი, ბორის, უჩა, ნუგზარ ბულიები, ცოლისძმა ჯემალ ქარაბაშვილი, ცოლისდები: იზო. ლუიზა. სიძე როლანდ როგავა. ცოლისდისშვილები თეა, ედიკა როგავები. ცოლისძმისშვილები: დათო. კობა ქარაბაშვილები, სიდედრი თუნია, სიმამრი დათიკო ქარაბაშვილი, უახლოესი ნათესავები იუწყებიან
**ჯემალ გერმანეს ძე ბულიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 მაისს. დაკრძალვა 7 მაისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ბაქოს ქ. 34 18 საათზე.

---

მეუღლე კლარა. შვილები: ნაირა, ძედიკო, ლევანი, დები ციცი. ფოთოლა, ქიონია, რძლები ირმა ფხაკაძე, დაფინო არნანია, სიძეები გენადი ზარქუა, ვალუტი გოგია, თეოფანე ქირია, მამია ჩეჩინავა, შვილიშვილები: თეა, თიმური. გიორგი, გვანცა, შოთა. ქრისტინე, ცოლისდები: აფროდიტე. ნანული. ნინო. ცოლისძმები: ვაჟა. ჟორა ქირიები. ქვისლები ენვერ ფაჩულია, შირიმ ჯანაშია, ძმისშვილი დოდო, დისშვილები: ცაცა, ჯემალ ხარჩილავები, ლევტერ, ანზორ ბიგვავები, ლულიკო, ენუქი ქირიები, სოსო, ვახტანგ, ელდარ, თორნიკე ჩემინავები, მამიდაშვილ- [illegible] თაზი ფხაკაძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**შოთა პლატონის ძე დიდიშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 მაისს. დაკრძალვა 11 მაისს სოფელ ოქტომბერში.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25 12, რადიორედაქციის 2-47 69.

საქ. ბეჭდვასახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №1725